# სასკოლო სასწავლო გეგმა

„დამტკიცებულია“

ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური

სკოლა-გიმნაზიის მმართველი დირექტორის მიერ: ბრძ.N-101/003;

„შემუშავებულია“

სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მმართველი დირექტორის მონაწილეობით.

ოქმი N-1 07.09.2023 წელი.

# სასკოლო სასწავლო გეგმა

2023– 2024 სასწავლო წელი
წყალტუბო

# დოკუმენტის შინაარსი


შესავალი ..... 4

სწავლა-სწავლების პროცესი ფორმალური განათლება ..... 8

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით ..... 10

დისტანციური სწავლების ორგანიზება ..... 11

სადამრიგებლო პროგრამა ..... 11

სკოლა-გიმნაზიის საგნობრივი კათედრები და მათი ფუნქციები ..... 13

დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა ..... 13

ქართული ენა ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ..... 14

უცხოური ენების კათედრა: ..... 14

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა: ..... 14

მათემატიკა-ისტის კათედრა ..... 14

ინკლუზიური განათლება ..... 14

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ..... 15

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება, დასწრება დაგაცდენები. ..... 16

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება ..... 16

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა ..... 16

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა ..... 25

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა ..... 33

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა ..... 34

არაფორმალური განათლება ..... 43

# შესავალი

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტალური მნიშვნელობის დოკუმენტებს, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“ და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რადგან იგი განსაზღვრავს ზოგად ორიენტირებს სწავლა-სწავლების მიზნებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

გიმნაზია უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და სასწავლო რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.მისი შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ: საგნობრივი კათედრები, სკოლა-გიმნაზიის დირექტორატი, ხარისხის მართვის მენეჯერი და მმართველი დირექტორი,რომელიც ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლა-გიმნაზიის მისიიდან, მასში მოცემულია მექანიზმები და სტრუქტურები, რომელიც ხელს უწყობს მისიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლა-გიმნაზიის ხედვასა და ღირებულებებს, რომლითაც სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმისთვის აუცილებელი მახასიათებელია განვითარებაზე ორიენტირებულობა. მნიშვნელოვანია, სკოლამ იკვლიოს საკუთარი მიღწევები, პრობლემები, რისკები და ამის საფუძველზე ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედ პროცესს წარმოადგენს. სასკოლო კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებულია ხარისხი და მისი შემუშავების პროცესიც. მის განვითარებაში მაქსიმალურად ჩართული უნდა იყოს მთელი სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა წევრი: მშობლები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია.სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს ერთგვარ კონტრაქტს ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მშობლებს შორის. რაც უფრო მაღალია შეთანხმებულობის ხარისხი, მით უფრო მდგრადი და თანამიმდევრულია პროცესები, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე.

## სკოლა-გიმნაზიის სტატუსი

ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა- გიმნაზია არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც,, ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს სამივე საფეხურზე:

- დაწყებით - I-VI კლასები,
- საბაზო - VII-IX კლასები
- საშუალო - X-XII კლასები.

დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები მორგებულია თითოეული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფებისა და მთელი კლასის საჭიროებებზე, რომელთა მეშვეობითაც გიმნაზია შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

## მისია

ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია ქმნის პოზიტიურ, კონკურენტუნარიან და სწავლისთვის მამოტივირებელ გარემოს, რათა აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი, შემწყნარებელი, ერთმანეთის პატივისმცემელი მომავალი თაობა, რომელიც თავის პოტენციალს და შესაძლებლობებს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

## ხედვა

- ✓ სასკოლო განათლება განუვითარებს მოზარდს ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევებს, ასწავლის ქართული სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას, ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების

პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს; თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება კრიტიკულად მოაზროვნე, ცოდნაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდა.

- ✓ უახლოესი 5 წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზია ყველა საჭირო აქტივობას დაგეგმავს, რათა მოსწავლეებმა ეროვნულ (და საერთაშორისო) სასწავლო ოლიმპიადებში წარმატებით იასპარეზონ.
- ✓ არაფორმალური განათლების წილის გაზრდით, სკოლა-გიმნაზია მოახერხებს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობას სხვადასხვა ინოვაციურ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო პროექტებში.
- ✓ გიმნაზიის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, 2031 წლისთვის წამყვანი და მენტორი მასწავლებლების რიცხვი იქნება მზარდი გაიზრდება 50%-ით.

ღირებულებები

- ✓ ღვთისა და მოყვასის სიყვარული;
- ✓ პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა და არჩეული საქმისადმი ერთგულება;
- ✓ კეთილსინდისიერება და მიუკერძოებლობა
- ✓ სიახლეებისადმი მიმღებლობა, მზაობა;
- ✓ თანაგანცდა და თანადგომა;
- ✓ ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა წარსული გამოცდილების გამოყენებით;
- ✓ პედაგოგთა პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ✓ გუნდური მუშაობა.

სასკოლო კურიკულუმი 3 არსებით სფეროსთან მიმართებით ხასიათდება:

1. სასწავლო პროცესი

სასკოლო კურიკულუმის მიზანია:

- ✓ მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი (აქტიური სწავლა);
- ✓ მოსწავლეს ახალი ცოდნა მიეწოდებოდეს არა ერთბაშად, მომზადების გარეშე, არამედ თანდათანობით მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით (ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით);
- ✓ მოსწავლე იღებდეს არა დაქსასულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს (ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება);
- ✓ ყურადღება გამახვილდეს სწავლის სტრატეგიებზე (სწავლის სწავლა);
- ✓ ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე,(არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე)

2. სასკოლო პროგრამები

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი გრძელვადიან მიზნებზე/პროცესებზე ორიენტირებულ სასკოლო სასწავლო გეგმების განვითარებას მოითხოვს. გრძელვადიან მიზნებზე /პროცესზე ორიენტირებული პროგრამები - გულისხმობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამებს, სადაც მიზნები მცირერიცხოვანია და ბევრ შემოქმედებით თავისუფლებას უტოვებს მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად. ამ ტიპის პროგრამების - კურიკულუმების პრაქტიკული გამოყენებისას სასწავლო შედეგებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს თავად სასწავლო პროცესს.

სკოლა-გიმნაზიამ შეიმუშავა გრძელვადიან მიზნებზე/პროცესზე ორიენტირებული პროგრამები. მასწავლებლები თავად არჩევენ მისი მიღწევის გზებს საკუთარი მოსწავლეების, სკოლა-გიმნაზიის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. განათლების რეფორმის ერთერთი მიზანი სწორედ შინაარსზე და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებული პროგრამის ჩანაცვლებაა პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმით.

3. სკოლა-გიმნაზიის საორგანიზაციო კულტურა

ა(ა) იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ისტორია 2008 წლიდან იწყება, როცა ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობამ ქუთაის-გაენათის ეპარქიის მაშინდელ მმართველს მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) მიმართა ქალაქში ამ ტიპის სკოლის გახსნის შესახებ, რათა მათ შვილებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნების შესწავლასთან ერთად, საშუალება ჰქონოდათ გაზრდილიყვნენ მართლმადიდებლურ ტრადიციებსა და ეროვნული ფასეულობების საფუძველზე.

სასწავლებელი უკვე 15 წელიწადია მოქმედებს მისიაზე დაყრდნობით და წარმატებულადაც. იგი, კვალიფიციური კადრების მეშვეობით აძლევს მოზარდებს ხარისხიან, 21-ე საუკუნის შესაბამის განათლებას და ხელს უწყობს მათში საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას ქრისტიანულ ფასეულობებზე დაყრდნობით და ამზადებს მათ მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ინფორმაციის დაწვრილებით მოპოვება შესაძლებელია სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე (https://gabrielisgimnazia.ge ).

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების განსახორციელებისა სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაა საჭირო, სადაც პროცესები ორიენტირებული იქნება:

- ✓ სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე;
- ✓ ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე;
- ✓ ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე;
- ✓ მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე;
- ✓ ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე;
- ✓ დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე.

მთავარი აქცენტი ამ დროს შინაგან მოტივაციაზე კეთდება. მასწავლებლებს შეუძლიათ დასახული ამოცანების შესრულება და ამ ამოცანების მნიშვნელობის დანახვა მთლიანი საქმისთვის. შინაგან მოტივაციას სწორედ ამ ორი ფაქტორის თანხვედრა იწვევს. სასკოლო საზოგადოების ცხოვრების დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლის სწავლასა და განვითარებას უკავშირდება. შეთავაზებული ინსტრუმენტებიც - კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად ამ მიზნით გამოიყენება. პასუხისმგებლობის გადანაწილება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართოა მასწავლებლების ჩართულობა. სკოლა-გიმნაზიაში არ მოქმედებს დასჯა-წახალისების ბერკეტები. მასწავლებლები არც სასჯელს მოელიან შეუსრულებელი აქტივობების გამო და არც რაიმე ჯილდოს - კარგად განხორციელებული ამოცანებისთვის. სკოლა-გიმნაზიაში იქმნება პროდუქტი - სასკოლო კურიკულუმი, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს, რომელზეც შესაბამისი საგნის ყველა მასწავლებელი მუშაობს, ხოლო სასკოლო პროექტი კი სასკოლო თემის მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება. სკოლა დეცენტრალიზაციის იდეას ეფუძნება. სკოლა-გიმნაზიამ როგორც ერთიანმა გუნდმა დამოუკიდებლად იზრუნა ლოკალურ დონეზე სასკოლო კურიკულუმის

შესაქმნელად და საკუთარ სკოლაზე მორგებული თვითშეფასებისა და ხარისხის მართვის სისტემების ჩამოსაყალიბებლად.

სკოლა-გიმნაზია სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტულ, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელს უწყობს:

- ✓ ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას სასკოლო საზოგადოებში;
- ✓ სკოლა-გიმნაზიის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
- ✓ მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;
- ✓ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;
- ✓ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;
- ✓ გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის;
- ✓ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;
- ✓ სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას.

სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს ისეთი გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, ეთიკა, სწავლის სწავლა, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

სკოლა-გიმნაზიამ 2023-2024 სასწავლო წელს, ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პრიორიტეტული თემებიდან აარჩია და სასკოლო საზოგადოებას შესთავაზა სასკოლო პროექტი თემაზე: **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.**

პრიორიტეტული თემა და მისი მნიშვნელობა

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და მათ დაცვაზე ზრუნვა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს პატრიოტი, პასუხისმგებლობიანი მოქალაქის აღზრდას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურამ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავოს პატივისცემის გრძნობა და მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანის მიერ წარსულსა და აწმყოში შექმნილი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის (ტრადიციების, ფასეულობების, სხვ.) ნიმუშების მიმართ; გააზრებინოს, რომ მომავალი სწორედ ამ მემკვიდრეობას უნდა დაეფუძნოს;

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული განათლების სისტემის ამოცანები - განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დაუმკვიდროს ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჩამოაყალიბოს იგი აქტიურ, შემოქმედებით და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა, შეუძლია ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, იცის რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების რელიზებისთვის საჭიროა მოსწავლის ცოდნის ამაღლება მდგრადი განვითარების მიმართულებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლასა და მასწავლებელს სთხოვს არა მხოლოდ საგნობრივი სტანდარტის შესრულებას, არამედ პრიორიტეტული თემის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.

პრიორიტეტულ თემებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, არამედ სასკოლო კულტურის განვითარების თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო სივრცეში რეგულარულად ხორციელდებოდეს პროექტები, რომელშიც სასკოლო საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას და რომლის წყალობითაც ის გარკვეულ კავშირებს შექმნის სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ასეთი ტიპის პროექტები ხელს შეუწყობს სკოლა გადაიქცეს სოციალურ-კულტურულ სივრცედ.

სასკოლო პროექტები ფორმალურ განათლებაში განხორციელდება კომპლექსური დავალებებისა,ან/და მოსწავლის მიერ რაიმე სახის პროდუქტის შექმნით- შესრულებით, სადამრიგებლო პროგრამებში ჩაშენებული აქტივობების განხორციელებით, ხოლო არაფორმალურ განათლებაში - სპორტული, სახელოვნებო, საწრეო და საკლუბო აქტივობებით (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით). არჩეული პროექტის განხორციელების ხანგრძლივობაა ორი სასწავლო წლის განმავლობაში.

სასკოლო პროექტზე მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგ საკვანძო საკითხები:

- ✓ რამდენად ორიენტირებულია სასკოლო პროექტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;
- ✓ რამდენად ორიენტირებულია პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე;
- ✓ უწყობს თუ არა პროექტი ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
- ✓ რამდენად გამოკვეთს პროექტი ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
- ✓ რამდენად ითვალისწინებს პროექტი სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
- ✓ რამდენად ავითარებს პროექტი თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;
- ✓ რამდენად ითვალისწინებს სასკოლო პროექტი ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტს;
- ✓ რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა;
- ✓ რამდენად მოაიაზრებს პროექტის იდეა და შედეგები კავშირს სკოლა-გიმნაზიის განვითარებასთან.

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის <u>(დანართი 1)</u> სასკოლო პროექტი

# სწავლა-სწავლების პროცესი ფორმალური განათლება

ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება. მათ შორის ჯანსაღი უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების, ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტებისა და მსჯელობა-დასაბუთების, შეფასების, წარდგინება-პრეზენტაციის და სხვა. შესაბამისად მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათ შორის: აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენის გზით სწავლება, თანამშრომლობის გზით სწავლება, პრაქტიკული სწავლება, გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება და სხვა.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ბუნებრიობიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი

გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.
სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.
სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.
განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაცემად სკოლა-გიმნაზია ზრუნავს მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.
მოსწავლისათვის მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.
მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს მის საჭიროებაში, კავშირს სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლა-გიმნაზიის გარეთ - მიმდინარე რეალურ ცხოვრებას შორის.
სკოლა-გიმნაზია უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს, ამავე დროს უზრუნველყოფს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას.
მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი

2023-2024 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების 2024 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასებისა.
არდადაგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლა-გიმნაზიის სასწავლო კალენდრით.
სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს სემესტრებად ყოფს საშობაო არდადეგები. სასწავლო კვირა ხუთდღიანია, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

- გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გიმნაზიაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები;
- რელიგიური დღესასწაულის გამო გიმნაზია მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

სასწავლო კალენდარი გეგმას  თან ერთვის.(დანართი 2).

გიმნაზიის დღის რეჟიმი

გიმნაზიაში სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება ერთ ცვლაში. სასწავლო პროცესი იწყება 09:00 სთ-ზე. გაკვეთილების ხანგრძლივობა III- XII კლასებში განისაზღვრება 45 წუთით. პირველ კლასში - 35 წუთი, ხოლო II კლასში - 40 წუთი. გაკვეთილებს შორის ერთი შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15 წუთით, არის ასევე ერთი 10 წუთიანი შესვენება, ხოლო დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობაა 5 წუთი.
გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, შესაძლებელი, დაშვებულ იქნას გამონაკლისი. გიმნაზიამ, (საჭიროებიდან გამომდინარე) შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) გაკვეთილების ხანგრძლივობა.

## შესვენებები და გაკვეთილების განრიგი

I კლასი

| გაკვეთილი | I | II | III | IV | V |
|---|---|---|---|---|---|
| დაწყება | $9^{00}$ | $9^{50}$ | $10^{50}$ | $11^{45}$ | $12^{35}$ |
| დამთავრება | $9^{35}$ | $10^{25}$ | $11^{25}$ | $12^{20}$ | $13^{10}$ |

II კლასი

| გაკვეთილი | I | II | III | IV | V | VI |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაწყება | $9^{00}$ | $9^{45}$ | $10^{40}$ | $11^{30}$ | $12^{15}$ | $13^{00}$ |
| დამთავრება | $9^{40}$ | $10^{25}$ | $11^{20}$ | $12^{10}$ | $12^{55}$ | $13^{40}$ |

III- XII კლასი

გაკვეთილების დაწყება-დასრულების განრიგი

| გაკვეთილი | დაწყება | დასრულება | შესვენების ხანგრძლივება |
|---|---|---|---|
| 1 | $9^{00}$ | $9^{45}$ | 5 წთ. |
| 2 | $9^{50}$ | $10^{-35}$ | 15 წთ. |
| 3 | $10^{-50}$ | $11^{-35}$ | 10წთ. |
| 4 | $11^{-45}$ | $12^{30}$ | 5 წთ |
| 5 | $12^{35}$ | $13^{20}$ | 5წთ |
| 6 | $13^{25}$ | $14^{10}$ | 5წთ |
| 7 | $14^{15}$ | $15^{00}$ | |

## სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით

სკოლა-გიმნაზიის ნორმატიული აქტის - დებულების საფუძველზე, დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ) მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 20 მოსწავლით, მიმდინარე წელს გამონაკლისს წარმოადგენს III და IV კლასები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე მეტია 20-ზე. გიმნაზიის დაწყებით კლასებში ბოლო ორი წელი, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე დაშვებულია პარალელური კლასების არსებობა, თუ მოსწავლეთა რაოდენობა კლასში აღემატება 12-ს და ოთახების ფართობის შესაბამისია.

ხოლო საბაზო (VII-IXკლ) და საშუალო (X-XIIკლ) საფეხურზე კი – არაუმეტეს 25 მოსწავლისა. გიმნაზია უკვე მეორე წელია სარგებლობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის III მოდელით და იგი პილოტირებიდან გადავიდა დანერგვის რეჟიმზე, საშუალო საფეხურზე განაყოფები იქმნება მოსწავლეთა მიერ არჩეული გაღრმავებული საგნების მიხედვით, ასევე XI კლასი გაღრმავებული საგნების გარდა იყოფა ქართულ ენა ლიტერატურასა და ინგლისურ ენაში.

2023-2024 საწავლო წელს X კლასი გაიყოფა –გაღმავებული სწავლების საგნებში მოსწავლეთა არჩევანის მიხედვით. კლასების განაყოფები იქმნება ასევე ასევე უცხოური ენებში (რ უ ს უ ლ /გერმანულ ენაში) მათი არჩევანის მიხედვით

# დისტანციური სწავლების ორგანიზება

დისტანციური სწავლების მოდელები

გიმნაზიაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით: სრულად ელექტონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლის ერთობლივად ჩართვას:

სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრულ; ი რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;

ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით.

გიმნაზია აირჩევს დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელს, ათანხმებს რესურსცენტრთან განსაზღვრული განაცხადის ფორმით. დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელის სასწავლო წლის დაწყებამდე შერჩევის შემთხვევაში, გიმნაზია წერილობით მიმართავს რესურსცენტრს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 დღისა, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის შემთხვევაში, ამ წესით განსაზღვრული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ გიმნაზია განაცხადით ირჩევს დისტანციური სწავლების ჰიბრიდულ მოდელს, აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

გიმნაზიის დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონულ (როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ) მოდელზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი რესურსცენტრის შუამდგომლობით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლის წინაპირობები

გიმნაზიაში დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლის წინაპირობა შეიძლება იყოს:

გიმნაზიაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული სხვადასხვა გადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისას დადგენილი დროებითი შეზღუდვები;

რთული მეტეოროლოგიური/ექსტრემალური პირობებით ან ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვები;

გიმნაზიაში მიმდინარე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმილ ვადებში შეუსრულებლობისას ან გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას; ცალკეულ საგანში/საგნებში ადამიანური რესურსის (მასწავლებლის) დეფიციტი;

ცალკეულ საგანში/საგნებში თანამედროვე ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა ან გიმნაზიის მიერ სხვა დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.

## სადამრიგებლო პროგრამა

გიმნაზიაში სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი იწყება 09:00 სთ-ზე, გიმნაზიის მისიიდან გამომდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ინტეგრირებულია სასწავლო
პროცესში და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. აქედან გამომდინარე დამრიგებლის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება, რის გამოც ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი.

დამრიგებელი,როგორც წესი სკოლა-გიმნაზიაში ცხადდება სწავლის დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე და გაკვეთილზე შესვლამდე არკვევს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა დასწრება-გამოცხადების მდგომარეობას.მისი მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების, ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

## დამრიგებელის მუშაობის პრინციპები

- ✓ გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (გიმნაზიის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის საკითხები და სხვ.);
- ✓ რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი;
- ✓ დაეხმაროს ახალ მოსწავლეს ადაპტაციის პროცესში;
- ✓ დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- ✓ იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- ✓ რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ✓ სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;
- ✓ მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

## დამრიგებლის მუშაობის პრინციპი

დამრიგებლის მუშაობა შემდეგ პრინციპებს ემყარება:

**სრულფასოვანი აღზრდა** – სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური(შემეცნებითი)და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

**მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** – დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

**მოსწავლეებში პასუხისმგებლობების გამოვლენა** – დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები, მოლოცვით ექსკურსიებში და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

**თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

სადამრიგებლო პროგრამაზე მუშაობისას გიმნაზია რეკომენდაციას აძლევს დამრიგებელს საუბრები წარმართოს შემდეგი მიმართულებით

- ✍ პიროვნული და მორალური განვითარება;
- ✍ გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- ✍ მეწარმეობის უნარების განვითარება;
- ✍ ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- ✍ უსაფრთხოება და ძალადობისაგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- ✍ მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
- ✍ თვალსაწიერის გაფართოება;

დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო საათი უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ. მათი ჩატარება რეკომენდებულია კვირის ბოლოს, რათა მოხდეს განვლილი სასწავლო კვირის შეფასება და შეჯამება.

სასკოლო-სასწავლო გეგმის თან ერთვის კლასის დამრიგებლების სია და სადამრიგებლო პროგრამები- სამოქმედო გეგმები (დანართი 3)

# სკოლა-გიმნაზიის საგნობრივი კათედრები და მათი ფუნქციები

თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით გიმნაზიაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით იქმნება მასწავლებელთა გაერთიანებები. ე.წ. საგნობრივი კათედრები.

1. კათედრების ფუნქციებია:
   1.1. საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირება;
   1.2. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება;
   1.3. საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
   1.4. სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა;
   1.5. ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;
   1.6. რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
   1.7. შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
2. კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი წლის ვადით ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.
3. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:
   3.1. კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
   3.2. გიმნაზიის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ.: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
   3.3. მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების) ორგანიზება.
4. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. აუცილებელია კათედრა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.
5. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა, სადაც გაერთიანებულია შემდეგი საგნობრივი ჯგუფები:

დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა

კათედრის შემადგენლობაში შედის:

1. დაწყებითის საფეხურის საგნები ( I- IV კლასი );
2. ჭადრაკი- ისწავლება-I და II-ა-ბ კლასებში.
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ( მოიცავს სავალდებულო საგანს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში-ისწავლება I-IX კლასებში, ხოლო სავალდებულო პროექტებით სწავლება-X კლასში);
4. მუსიკა (მოიცავს სავალდებულო საგანს მუსიკაში-ისწავლება I-IX კლასებში, ხოლო სავალდებულო პროექტებით სწავლება-XI კლასში.);
5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება I-XII კლასებში), აქედან გიმნაზიაში VII-XI კლასებში არჩეულია კალათბურთი; IV-V კლასში მაგიდის ჩოგბურთი; XII-ა-ბ კლასში ფრენბურთი; I-VI კლასებში - ფიზიური აღზრდა;

ქართული ენა ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა
კათედრის შემადგენლობაში შედის:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში
2. მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში
3. ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში)
4. ისტორია (მოიცავს საგანს „ისტორია “და ისწავლება VII-XII კლასებში და საგანს „საქართველოსისტორია “,ისწავლება X და XI კლასებში).
5. გეოგრაფია (მოიცავს საგანს „ საქართველოს და მსოფლიოს გეოგრაფიას “და ისწავლება VII-XIკლასებში)
6. სამოქალაქო განათლება (მოიცავს საგან „მოქალაქეობას “და ისწავლება VII-XI კლასებში დასავალდებულო პროექტებით სწავლებას X-XI-კლასებში).
7. ჭადრაკი ისწავლება I და II კლასებში.
8. სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება XII კლასის პირველ სემესტრში-მილევადისაგანი) ; ამავე კათედრაზე გაერთიანებულია საღვთისმეტყველო საგნების ჯგუფი:
9. საღვთო სჯული (ისწავლება I- XII კლასებსი)
10. ქრისტ.ეკლესიის ისტორია (ისწავლება V- IX კლასებში)
11. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია (ისწავლება X-XII კლასებში);

უცხოური ენების კათედრა:
კათედრის შემადგენლობაში შედის:

1. ინგლისური ენა (ისწავლება I- XII კლასებში)
2. რუსული ენა (ისწავლება V-XII კლასებში)
3. გერმანული ენა ( ისწავლება V, VII,VIII,X კლასებში-მშობელთა არჩევანის მიხედვით)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა:
კათედრის შემადგენლობაში შედის:

1. ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-IV და V-VI კლასებში)
2. ბიოლოგია ( ისწავლებაVII-XI კლასებში)
3. ფიზიკა (ისწავლებაVII-XI კლასებში)
4. ქიმია (ისწავლებაVII-XI კლასებში)

მათემატიკა-ისტის კათედრა
კათედრის შემადგენლობაში შედის:

1. მათემატიკა - (ისწავლება I-XII კლასებში)
2. ისტ ტექნოლოგიები- (ისწავლება I-VI კლასებში და არჩევით საგნად- Xკლ- კომპ.მეცნიერებები და XII კლ. კომპიუტერული პროგრამირება).

გიმნაზიის საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეების სია და წლიური სამოქმედო გეგმები სასკოლო-სასწავლო გეგმას თან ერთვის (დანართი 4)

## ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება
ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. გიმნაზიის მოსწავლეთა კონტინგენტში დღევანდელი მონაცემებით არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა გიმნაზიის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაუწიოს საგანმანათლებლო მომსახურეობა ასეთი ტიპის მოსწავლეს.
კერძოდ, მეორე კორპუსის გვერდით
შემოსასვლელს აქვს ბეტონის პანდუსი სსს მოსწავლის ეტლის გადასაადგილებლად, მოწესრიგდა ამ კატეგორიის მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი. აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი იქნება საჭიროების შემთხვევაში მთავარი კორპუსის მეორე სართულზე განლაგებული საკლასო ოთახები და კომპიუტერული კლასი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (სსსმ), რომელსაც, თანატოლების უმრავლეობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და რომლისთვისაც საჭიროა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ფიზიკური შეზღუდვა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და /ან მხედველობის);
- მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

გიმნაზიას ასეთი მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში შემუშავებული აქვს კონცეფცია:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად გაითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიქმნება სასწვლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.
4. ინდივიდუალური სასწვლო გეგმა ყველა საგანში შეიქმნება ან რომელიმე კონკრეტულ საგანში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
5. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად განისაზღვრება:
   - 5.1. სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები.
   - 5.2. დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თოთოელ საგანში
   - 5.3. მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები. მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა.
   - 5.4. დამატებით მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი ან ფსიქოლოგი.
   - 5.5. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაიითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, სულიერი დასუსტი მხარეების შესახებ.

1. სსსმ მოსწავლისათვის გიმნაზია განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისშესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს.
2. ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი, სკოლის ადმინისტრაციის წევრი, ფსიქოლოგი ან სპეციალური მასწავლებელი.
3. ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის მუშაობას (დამრიგებელი ანსპეციალური მასწავლებელი).
4. ისგ-ის შედგენის შემდეგ ჩატარდება ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველისემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა.
5. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები, რომლებიც ინახება მოსწავლის პირადსაქმეში.
6. ისგ შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.

7. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიის ადმინისტრაციას მიაწოდოს სსსმ მოსწავლისპირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია.
8. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად მოამზადებს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება, დასწრება და გაცდენები.

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადმიური მიღწევის შეფასება.
2. სსსმ მოსწავლისათვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშებახდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისათვის.
3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას, თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ესხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
4. სასკოლო გეგმით განსაზღვრულ წლიურ გამოცდას აბარებს სსსმ მოსწავლეც, მისთვისადაპტირებული საგამოცდო მასალით.

## სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია ან რიგი მიზეზების გამო ვერ დადის გიმნაზიაში, მისი განათლება მოხდება შინ სწავლების მეთოდით. მოსწავლე ირიცხება გიმნაზიაში და გიმნაზია უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც წარიმართება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

| კ ლ ა ს ი | I-IV | V-VI | VII-IX | X-XII |
|---|---|---|---|---|
| მინიმალური საათები კვირის<br>განმავლობაში | 5 სთ | 6 სთ | 8 სთ | 8 სთ |

ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საფეხურების მიხედვით

# ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

- საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

სასკოლო საათობრივი ბადე

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო და ფაკულტატური საგნები და სააღმზრდელო მომსახურება. 2023/2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიამ მისიიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მოსწავლეს შეუქმნას საუკეთესო პირობები სწავლისა და გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის, მისცეს მას საბაზისო უნარები, აღზარდოს გულისხმიერი, შემწყნარებელი მომავალი თაობა, რომელთათვის უპირატესი იქნება ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული საათობრივი ბადის III მოდელით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე ; 23-ე; და 56-ე მუხლის შესაბამისად. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სკოლა-გიმნაზიის 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის საათობრივი ბადე (დანართი 5)

საგანმანათლებლო რესურსები

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის.

სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, საბუნებიისმეტყველო ლაბორატორია, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები, და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- ✓ დამხმარე ლიტერატურა;
- ✓ საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
- ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ);
- ✓ ბიბლიოთეკა, მუზეუმები,თეატრი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ)

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა საჭიროებების და მიხედვით იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას.

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სკოლა-გიმნაზიის მიერ დაწყებითი საფეხურისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, კლასების მიხედვით (დანართი 6)

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და , შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სკოლა–გიმნაზია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, გამომდინარე სკოლა–გიმნაზიის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად.

სკოლა-გიმნაზიაში ესგ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა:

1. საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით I – VI კლასებში - 1საათი;
2. ქრისტიანული ეკლესისის ისტორია - V- VI კლასებში კვირაში 1საათი.

სკოლა–გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით სააღმზრდელო მომსახურებას – სკოლა–გიმნაზიაში იმუშავებს

წრეობრივი სახით I - IVკლასებში-ინგლისური ენის წრე

მაგიდის ჩოგბურთის წრე- III- VI კლასებისთვის;

ხალხური სიმღერისა და გალობის წრე- III- VI კლასებისთვის;

სადაც მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში, გაკვეთილების შემდეგ იმეცადინებენ შესაბამის წრეებში;

## მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების გზები

### მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპი და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ამოცანები:

- ✓ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ✓ ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- ✓ გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
- ✓ მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას;
- ✓ აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კოპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე ცოდნის სხვადასხვა კომპონენტს ინტერაქტიულად და თანადროულად იყენებს.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:
სანდოობა - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
ვალიდურობა - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
ობიექტურობა - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
გამჭვირვალობა - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

## განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლის შედეგს,არამედ სწავლის პროცესსაც.ამის უზრუნველსაყოფად სკოლა-გიმნაზიაში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი,მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის პროცესი,ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი,ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი,ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.
განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების,ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერტობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს.

### განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| მიზანი | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;<br>მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში; |
| ამოცანები | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;<br>წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. |
| წარმატების კრიტერიუმი | განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით. | მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით |
| შემფასებელი და შეფასების ფორმები | მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.<br>მოსწავლე: თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით. | მასწავლებელი: ქულა(შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით,ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით) |

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემის მიხედვით;

| ქულები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შეფასების დონეები | დაბალი | | | | საშუალო | | საშუალოზე მაღალი | | | მაღალი |

შეფასება დაწყებით საფეხურზე

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით.ამ კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლა-გიმნაზიაში განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება:

- ✓ მოკლევადიანი სიტყვიერი და წერილობითი კომენტარი - გამოიყენება მოსწავლეთა სწავლაში წარმატების მიღწევაში დახმარებისათვის, სირთულეების დაძლევის გზების ჩვენებასა და რჩევებისათვის საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისათვის, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;
- ✓ პორტფოლიო-შეიცავს მოსწავლის მიერ შესრულებულ საშინაო და საკლასო ნამუშევრებს. პორტფოლიოს დანიშნულებაა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეაფასონ ნამუშევრები დინამიკაში, მოხდა თუ არა პროგრესი, გააცნობიერონ თუ რა შეცდომები დაუშვა მოსწავლემ და როგორ შეიძლება მომავალში მათი თავიდან აცილება, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;
- ✓ შემაჯამებელი წერილობითი კომენტარი - გამოიყენება სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს;

V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასის ორივე სემესტრში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება გარდა სპორტისა. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

Vკლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასის ორივე სემესტრში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში და დამატებით სავალდებულო საგნებში: ,,საღვთო სჯული“,და „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეიძლება შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ კომპონენტში. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასის ორივე სემესტრი).

ბ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასის ორივე სემესტრი).

შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ.
I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასის ორივე სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება ( მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.)
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. სასურველია, მასწავლებლებმა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალება, რომელიც უკავშირდება სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეულ პრიორიტეტულ თემას: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებელი ახორციელებს შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის.
შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

სკოლა-გიმნაზიამ სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრა თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ/ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სკოლა-გიმნაზია მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო დაინიშნება დირექციის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში, სამუშაოს შესრულებას საგნის მასწავლებელთან ერთად დაესწრება ხარისხის მართვის მენეჯერი ან/და შესაბამისის საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე. შედგება ოქმი.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები და განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლისთვის. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა და მათი ჩატარების გრაფიკი

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

საგნის მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელი ქულა, რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრისგანმავლობაში;

საგნის სემესტრული ქულა –საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში(სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

საფეხურის ქულა – ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საერთო შეფასება.

## ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:
   1.1. მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;
   1.2. მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
   1.3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.
   1.4. თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადმოსვლისას აღმოჩნდება, რომ „სკოლა- გიმნაზიაში“ რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, „სკოლა-გიმნაზიის“ მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე „სკოლა-გიმნაზიაში“ მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;
   1.5. სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე
2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:
   2.1. VI-კლასში საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე; V-კლასში მოსწავლე ფასდება მეორე სემესტრის შეფასების მიხედვით;
   2.2. საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.
   2.3. თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, „სკოლა-გიმნაზიაში“მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, „სკოლა-გიმნაზიამ“ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.
   2.4. მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადმოსვლის გამო, „სკოლა-გიმნაზიაში“ განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა , მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად – გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა – გერმანული ენის წლიურ ქულად).
3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:
   3.1. საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;
   3.2. საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით(მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულადჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სპორტის საგნობრივ ჯგუფშიგაერთიანებულ საგნებში.
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;

# გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად**, 2023-2024** სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები**:**

- სემესტრული გამოცდა**;**
- საშემოდგომო გამოცდა**;**
- ექსტერნატის გამოცდა**;**
- დიაგნოსტიკური წერები (IV-VIკლ).

სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ სემესტრული გამოცდა გიმნაზიაში ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
- ✓ სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლა- გიმნაზიის დირექტორის სახელზე. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ და აძლევს მას დასაბუთებულ პასუხს.
- ✓ სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. სკოლა–გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია;
- ✓ კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- ✓ დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- ✓ გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური შინაარსის დავალება;
- ✓ დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
- ✓ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
- ✓ VI კლასში პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა – სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირისვადაში.
- ✓ საშემოდგომო გამოცდა

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა აქვს 5–ზე ნაკლები, სკოლა–გიმნაზია დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში;
- ✓ საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა-გიმნაზია კონსულტირებას გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში,რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
- ✓ მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
- ✓ საგამოცდო კომისია:

- ✓ კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- ✓ დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
- ✓ „სკოლა-გიმნაზია“ საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2024 წლის 01 სექტემბრიდან 07 სექტემბრამდე. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში (ავადმყოფობა, საზღვრგარეთ ყოფნა და სხვა ოჯახური პირობები), საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2024 წლის 29 ივნისიდან 07 ივლისის ჩათვლით.
- ✓ გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური შინაარსის დავალება; დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით; მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

მოსწავლე, რომელიც გიმნაზიას წარმატებით დაამთავრებს და მისის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალს და შესაბამის სერთიფიკატს;

მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9,8 და მეტი იღებს ვერცხლის მედალს და შესაბამის სერთიფიკატს.

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს როგორც აკადემიურ მოსწრებას,ისე სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ფორმალურ,თუ არაფორმალურ ღონიძიებებში ჩართვას,წახალისდებიან სხვადასხვა სიგელებით.

მოსწავლეთა მხარდაჭერა

სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მოსწავლის აკადემიური პრობლემების არსებობის იდენტიფიცირებისას, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, მოსწავლე იღებს მხარდაჭერას სკოლა-გიმნაზიისგან. ამ მიზნით შექმნილია საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით. ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. პირველ ეტაპზე ჯგუფი იკვლევს მოსწავლის აკადემიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, შემდეგ დგინდება საჭიროებები, ინიშნება დამატებითი მეცადინეობები კონსულტირების ვადებისა და ფორმის მითითებით.

გიმნაზიის მოსწავლეთა გაცდენები

მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ (EduPage) ჟურნალში;

გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხიმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს

მოსწავლეთა დასწრება

შინ სწავლება

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიცარ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;

3. შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმისგამოყენება.

# ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საბაზო საფეხურის მისიაა
საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კოსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

სასკოლო საათობრივი ბადე
სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით. სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო და სააღმზრდელო მომსახურება. 2023/2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიამ მისიიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მოსწავლეს შეუქმნას საუკეთესო პირობები სწავლისა და გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის, მისცეს მას ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენის საშუალება, ხელი შეუწყოს გულისხმიერი, შემწყნარებელი მომავალი თაობის აღზრდას, რომელთათვის უპირატესი იქნება ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული საათობრივი ბადით. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სკოლა-გიმნაზიის 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის საათობრივი ბადე. დანართი 8

## საგანმანათლებლო რესურსები

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- ✓ დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ);
- ✓ მუზეუმები,თეატრი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ).

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა. სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სკოლა-გიმნაზიის მიერ საბაზო საფეხურისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, კლასების მიხედვით. <u>დანართი 9</u>

სკოლა–გიმნაზია საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, გამომდინარე სკოლა–გიმნაზიის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად.

სკოლა-გიმნაზიაში ესგ გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებაა:

1. საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით VII- IXკლასებში - 1საათი;
2. ქრისტიანული ეკლესისის ისტორია - VII- IX კლასებში კვირაში 1საათი.
3. ქიმია- VII-ა და VII-ბ კლასებში დამატებითი სავალდებულო საგნის სახით კვირაში 1საათი. სკოლა–გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით სააღმზრდელო

მომსახურებას – სკოლა–გიმნაზიაში იმუშავებს

- ➢ მაგიდის ჩოგბურთის წრე- VII- IX კლასებისთვის.
- ➢ ხალხური სიმღერისა და გალობის წრე- VII- IX კლასებისთვის;

სადაც მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში, გაკვეთილების შემდეგ იმეცადინებენ შესაბამის წრეებში;

# მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების გზები

## მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

# მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

- ✓ ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- ✓ გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
- ✓ მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ✓ აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითად ამოცანების გადასაჭრელად სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კოპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე ცოდნის სხვადასხვა კომპონენტს ინტერაქტიულად და თანადროულად გამოიყენებს.

### შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

სანდოობა-როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;
ვალიდურობა-როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
ობიექტურობა-როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;
გამჭვირვალობა-როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

## განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე,მნიშვნელოვანია,რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს,არამედ პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლა-გიმნაზიაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთა მიმართებაში.მიმართებაში.აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების,ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულიასწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი,მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის პროცესი,ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი,ცოდნის

ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი,ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| მიზნები | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. |
| ამოცანები | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასებაცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. |
| წარმატების კრიტერიუმი | განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით. | მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით |
| შემფასებელი და შეფასების ფორმები | მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ..<br>მოსწავლე: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით. | მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით). |

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემის მიხედვით;

| ქულები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შეფასების დონეები | დაბალი | | | | საშუალო | | საშუალოზე მაღალი | | | მაღალი |

შეფასება საბაზო საფეხურებზე

VII-IX კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით,ყველაზე დაბალი ქულაა არის,1, ყველაზე მაღალი 10. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. VII-IX კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, დამატებით სავალდებულო საგნებში: ,,საღვთო სჯული“, „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა- საშინაო,საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტების ნიშნები,რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

საგნის სემესტრული ქულა –საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში(სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში.

საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საერთო შეფასება.

1. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი  კომპონენტები (ნაწილები)
მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას  ნებისმიერ კომპონენტში.
სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ✓ მიმდინარე საკლასო დავალება (VII-IX კლასები),
- ✓ მიმდინარე საშინაო დავალება (VII-IXკლასები),
- ✓ შემაჯამებელი დავალება ( VII-IX კლასები).

შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ.
VII-IX კლასებში საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი,ასევე განმავითარებელი შეფასება.

## საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.
საშინაო და საკლასო დავალებებში შესაძლებელია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების გამოყენება. განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის  საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.
საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადსხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.
შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება ( მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე- გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.) ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. სასურველია, მასწავლებლებმა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალება, რომელიც უკავშირდება სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეულ პრიორიტეტულ თემას: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.
მასწავლებელი ახორციელებს შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი
შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს.ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა,პარაგაფი,საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგი.კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.
X-XII კლასებში შემაჯამებელი დავალების სახით მოსწავლეებს მიეცემათ მრავალფეროვანი, ტესტური და კომპლექსური ტიპის დავალებები.

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი
სკოლა-გიმნაზიამ სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრა თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.
მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ მათ მიერ შესრულებული სასწავლო აქტივობის კრიტერიუმები. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, გიმნაზია მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო დაინიშნება ადმინისტრაციის მიერ, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. კონკრეტულ დროს განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი,სამუშაოს შესრულებას საგნის მასწავლებელთან ერთად დაესწრება სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი,ან/და შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრის თავმჯდომარე. შედგება შემაჯამებლის აღდგენის ოქმი.თუ მოსწავლემ საგნის მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულა შემაჯამებელი დავალება, მას განმეორებით აღდგენის საშუალება არ ეძლევა და სემესტრული ქულის გამოანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალება (ჩაეთვლება 0 ქულად).
თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი,ან/და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების დოკუმენტაცია,რომელშიც წარმოდგენილი იქნება;შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება.
კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები და განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლისთვის. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.
სასკოლო-სასწავლო გეგმას თან ერთვის კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა და მათი  ჩატარების გრაფიკი.
საერთო წლიური ქულა: საგნების წლიური ქულებიდან გამომდინარე შეფასება.
საფეხურის ქულა: ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

## ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:
   1.1. მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;
   1.2. მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე)
   1.3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული  შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფამიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

1.4. თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადმოსვლისას აღმოჩნდება, რომ „სკოლა-გიმნაზიაში“ რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, „სკოლა-გიმნაზიის“ მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე „სკოლა-გიმნაზიაში“ მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

1.5. სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

2.1. საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე. ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

2.2. თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, „სკოლა-გიმნაზიაში“მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან,„სკოლა-გიმნაზიამ“ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.

2.3. მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადმოსვლის გამო, „სკოლა-გიმნაზიაში“ განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა , მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად – გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა – გერმანული ენის წლიურ ქულად).

2.4. სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში,სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

3.1. საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიურიქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

3.2. საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ.(მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

## კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნისწლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში-სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში და სასკოლო გეგმით განსაზღვრულ დამატებით სავალდებულო საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.;
2. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალებისშემდეგ) არის 5,0 ქულა ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

## გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად 2023-2024 ს.წ.სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნატის გამოცდა;
- დიაგნოსტიკური წერები (IV-VI კლ).

სემესტრული  გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალიშეფასება ეკუთვნის.
2. ამისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობითი მიმართავს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება–არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული;
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომებიგამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატებასაგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირისვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა – სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში
6. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია;კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგითდა კიდევ ერთი წევრით;
7. დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს, გამოცდებისტიპი-წერითი, კომპლექსური დავალება;
8. დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით, სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით:გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

საშემოდგომო გამოცდა

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5–ზე ნაკლები, სკოლა–გიმნაზია ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე (ყოველდღიურად) სკოლა-გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი; გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური  შინაარსის დავალება;
3. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგანი/საგნების საგამოცდო კომისია:
4. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით; დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს; დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
5. „სკოლა-გიმნაზიაში“ საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2024 წლის 01 სექტემბრიდან 07 სექტემბრამდე. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში (ავადმყოფობა, საზღვრგარეთ ყოფნა და სხვა ოჯახური პირობები), საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2024 წლის 29 ივნისიდან 07 ივლისის ჩათვლით.

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

წლიური (სასწავლო წლის  დამამთავრებელი)გამოცდა

გამოცდების ჩატარების წესს, ფორმას და ვადებს ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის მმართველი დირექტორი მოადგილესთან  (სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში) შეთანხმებით. გამოცდების ორგანიზებულად და ობიექტურად ჩატარების მიზნით დირექტორი ნიშნავს და ამტკიცებს საგამოცდო კომისიას. დამტკიცებული საგამოცდო ცხრილი, შესაბამისი ინსტრუქციით, გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე გამოიკვრება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გასაცნობად. საგნის მასწავლებელი ადგენს საგამოცდო ტესტებს რამდენიმე ვარიანტად,ტესტი მრავაფეროვანი და კომპლექსურია და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას.

2023-20234სასწავლო წელს სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა (წლიური გამოცდა) საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შეირჩა კათედრების,საგნის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთობლივი მსჯელობით-მოსწავლეთა  მოსაზრებების გათვალისწინებით(შესაძლებლობის შემთხვევაში) წლის ბოლოს  გამოცდები  კლასების მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში:

VII-ა  კლასი ------ ქართული ენა ლიტ-რა , მათემატიკა;

VII- ბ  კლასი------- ქართული ენა ლიტ-რა , მათემატიკა ;

VIII- კლასი ----ქართული ენა ლიტ-რა , ბიოლოგია;

IX  კლასი -- მათემატიკა, გეოგრაფია;

ექსტერნატის  ფორმით  გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

შინ სწავლება

1. გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება სასკოლო სასწავლო გეგმის 11-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;
3. გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
4. შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის

   გამოყენება.

## პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა

1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:
2. 1. IX კლასის მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
3. მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
4. მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკულიცოდნითა და უნარებით
5. მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვისპროცესის

მნიშვნელობის შესახებ;

6. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის გააზრება უწყვეტიგანათლების ჭრილში; მმოსწავლეთათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობების გაცნობა.
7. მოსწავლეები აცნობიერებენ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას მომავალიპროფესიის არჩევის დროს;
8. ეცნობიან ქვეყანაში განათლების მიღების შესაძლებლობებს;
9. იღებენ ინფორმაციას იმ საერთაშორისო დოკუმენტებისა და მიდგომების შესახებ, რომლისმიხედვითაც საქართველო ხელმძღვანელობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის
10. დაგეგმვის სისტემის განვითარების პროცესში.
11. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში IX კლასში, II სემესტრში, დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის 8 გაკვეთილი.
12. სკოლა-გიმნაზიის 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის საათობრივიბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

# ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საშუალო საფეხურის მისია:

საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

სასკოლო საათობრივი ბადე

სკოლა-გიმნაზიის საათობრივი ბადე განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სავალდებულო და სააღმზრდელო მომსახურება. სკოლა-გიმნაზიამ საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი თვალსაწიერის გასაფართოებლად არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან აარჩია შემდეგი საგნები: კომპიუტერული მეცნიერებები (X-კლ), მეწარმეობის საფუძვლები (XI კლ) კომპიუტერული პროგრამირება (XII კლ).

2023/2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიამ მისიიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მოსწავლეს შეუქმნას საუკეთესო პირობები საგანთა გაღრმავებული სწავლებისთვის მათი ინტერესების გათვალისწინებით და ამით ხელი შეუწყოს მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი თაობის აღზრდას, ვისთვისაც უპირატესი იქნება ქრისტიანული ღირებულებების და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება ეროვნული მიზნებისთვის, ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული საათობრივი ბადით. რადგან დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

საშუალო საფეხურზე სკოლა-გიმნაზიამ მოსწავლეებს შესთავაზა დიფერენცირებული სწავლების მოდელი ორი მიმართულებით: ჰუმანიტარული და ტექნიკური მიმართულება. დიფერენცირებული სწავლება მოიაზრებს მიმართულების მიხედვით პრიორიტეტული საგნების გაღრმავებულ სწავლებას. დანართი 10

საგანმანათლებლო რესურსები

სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის.

სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- ✓ დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ);
- ✓ მუზეუმები,თეატრი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ)

<u>დანართი 11</u>

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა

სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს.

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სკოლა-გიმნაზიის მიერ საშუალო საფეხურისთვის არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, კლასების მიხედვით.

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სკოლა–გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ესგ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, გამომდინარე სკოლა–გიმნაზიის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად.

სკოლა-გიმნაზიაში ესგ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა:

1. საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით – X- XII კლასებში კვირაში 1 სთ;
2. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია- V-IX კლასი- კვირაში 1 საათი;
3. საოჯახო ცხოვრების ეთიკა-ფსიქოლოგია - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით X- XI კლასებში კვირაში 1საათი;

# მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების გზები

შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის

მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის იდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ამოცანები:

მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანებს წარმოადგენს

- აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაშიცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარიწინსვლის ხელშესაწყობად;
- მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- აჩვენოს რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებასშინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კოპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე ცოდნის სხვადასხვა კომპონენტს ინტერაქტიულად და თანადროულად იყენებს.

შეფასება ეყრდნობა შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

სანდოობა - როდესაც შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს ან ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;

ვალიდურობა - როდესაც შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;

ობიექტურობა - როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე;

გამჭვირვალობა - როდესაც შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის.

# განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლა-გიმნაზიაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

| | განმავითარე ელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| მიზანი | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში; |
| ამოცანები | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. |
| წარმატების კრიტერიუმი | განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით. | მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით |
| შემფასებელი და შეფასების ფორმები | მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.<br>მოსწავლე: თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით. | მასწავლებელი: ქულა(შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით,ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით) |

მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა

სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა აკადემიური შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია,1 კი-ყველაზე დაბალი.თქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

| ქულები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შეფასების დონეები | დაბალი | | | | საშუალო | | საშუალოზე მაღალი | | | მაღალი |

შეფასება საშუალო საფეხურზე

X-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებში. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

X-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, დამატებით სავალდებულო საგნებში: ,,საღვთო სჯული“, ,,საოჯახო ცხოვრების ეთიკა-ფსიქოლოგია“ და არჩევით საგნებში: „კომპიუტერული მეცნიერებები“, ,,მეწარმეობის საფუძვლები“ და „კომპიუტერული პროგრამირება“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ)
- საგნის წლიური ქულა – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია;

საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საერთო შეფასება.

საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (X-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (X-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (X-XII კლასები).

X-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

## საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში შესაძლებელია როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების გამოყენება. განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადსხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების სქემა/რუბრიკა.

შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვთ.

X-XII კლასებში საკლასო,საშინაო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება ( მაგ.: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.)

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად თითოეული მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასისთვის შეარჩევს კომპლექსურ დავალებას, რომელსაც სემესტრის

განმავლობაში განახორციელებს. მასწავლებლებს შეუძლიათ თავად შექმნან კომპლექსური დავალების პირობა, ან ისარგებლონ კომპლექსური დავალებების ბანკიდან. სასურველია, მასწავლებლებმა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალება, რომელიც უკავშირდება სკოლა-გიმნაზიის მიერ არჩეულ პრიორიტეტულ თემას:კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. თუკი მასწავლებელი ერთზე მეტ კლასს ასწავლის, მან კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს ყველა კლასთან.

მასწავლებებლი ახორციელებს შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით წერს განმავითარებელ კომენტარს თითოეული მოსწავლისთვის. კომენტარში აღიწერება მოსწავლეთა მიღწევები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სკოლა-გიმნაზია მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო დაინიშნება დირექციის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებიდან არაუგვიანეს 2 კვირის

ვადაში, სამუშაოს შესრულებას დაესწრება საგნის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. შედგება ოქმი.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებისა და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები და განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლისთვის. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, თითოეული საგნისთვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობა და მათი ჩატარების გრაფიკი.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომელსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

საგნის სემესტრული ქულა –საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში ;

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

საფეხურის ქულა – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

ქულის გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ✓ მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ✓ მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ✓ საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
- ✓ საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- ✓ საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

- ✓ კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სასკოლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.;
- ✓ საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

# გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, **2023-2024** სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები**:**

- ➢ სემესტრული გამოცდა**;**
- ➢ საშემოდგომო გამოცდა**;**
- ➢ ექსტერნატის გამოცდა**;**
- ➢ შუალედური და ფინალური ტესტირებები (X-XIკლ).

სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობითი მიმართავს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება–არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული;
2. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
3. სკოლა–გიმნაზიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
4. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია;
5. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
6. დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
7. გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური დავალება;
8. დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
9. სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლა-გიმნაზიამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5,0–ზე ნაკლები, სკოლა–გიმნაზია ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
3. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგანი/საგნების საგამოცდო კომისია:
4. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით დაკიდევ ერთი წევრით;
5. დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს;
6. საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე (ყოველდღიურად) სკოლა-გიმნაზია გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
7. გამოცდების ტიპი-წერითი, კომპლექსური დავალება;
8. დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით;
9. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე.
10. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

ექსტერნატის გამოცდის წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრებაკანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეულიკლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ
3. კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ისმოსწავლეები, რომელთაც საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.
4. შუალედური და ფინალური ტესტირებები
5. შუალედური და ფინალური ტესტირებები ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს მე-10,მე-11
6. კლასებში,იმ ძირითად გაღრმავებულ საგნებში,რომელიც მათი არჩევანის მიხედვით შესთავაზა სკოლა-გიმნაზიამ მოსწავლეებს.ტესტების შედეგების მიხედვით საგნის მასწავლებლები აღნიშნავენ რაში აქვთ პროგრესი მოსწავლეებს და რა აქვთ გასაუმჯობესებელი.
7. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებამოსწავლეთა მხარდაჭერა
8. სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მოსწავლის აკადემიური პრობლემების არსებობის იდენტიფიცირებისას, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, მოსწავლეიღებს მხარდაჭერას სკოლა-გიმნაზიისგან. ამ მიზნით შექმნილია საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი-კლასის დამრიგებლის,საგნის მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით. ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. პირველ ეტაპზე ჯგუფი იკვლევს მოსწავლის აკადემიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, შემდეგ დგინდება საჭიროებები, ინიშნება დამატებითი მეცადინეობები კონსულტირების ვადებისა და ფორმის მითითებით.

გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხიმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება;

3. თუ საშუალო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე;

4. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%- ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში,სკოლა-გიმნაზიის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლა-გიმნაზიის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შინ სწავლება

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება სასკოლო სასწავლო გეგმის 11-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;
3. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს, მინიმუმ 1 გაკვეთილი შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის კვირაში, გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა;
4. შინ სწავლების დროს რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტის) ფორმის გამოყენება.

## პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- XI კლასის მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით
- მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის მნიშვნელობის შესახებ;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესის გააზრება უწყვეტი განათლების ჭრილში;
- მოსწავლეთათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობების გაცნობა. შედეგი:
- მოსწავლეები აცნობიერებენ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას მომავალი პროფესიის არჩევის დროს;
- ეცნობიან ქვეყანაში განათლების მიღების შესაძლებლობებს;
- იღებენ ინფორმაციას იმ საერთაშორისო დოკუმენტებისა და მიდგომების შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველო ხელმძღვანელობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების პროცესში.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიაში XI კლასში, II სემესტრში, დაგეგმილია

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის 4 გაკვეთილი.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საშუალო საფეხურის კურიკულუმი.

# არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილი. ის ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა არსებული განათლებაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უჩნდებათ მოტივაცია იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. არაფორმალური განათლება იძლევა არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ანვითარებს ისეთ უნარებს, რაც ცხოვრების გზაზე მრავალმხრივ მნიშვნელოვანია (მაგალითად კომუნიკაციის, პრეზენტირების, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარები და სხვა). აღნიშნული უნარები ხელს უწყობს ადამიანის საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრირებას და მის რეალიზაციას. მოსწავლეთა არაფორმალური განათლება აფასებს არასავალდებულო სასწავლო კურიკულუმის ცოდნას და შინაგან მოტივაციაზე დაფუძნებით ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრებისეულ ღირებულებებსა და უნარებს ავითარებს. ხშირ შემთხვევაში არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ფორმალურ სასწავლო დაწესებულებაში - სკოლაში, შედეგების გაუმჯობესებასაც, ავითარებს რა ისეთ უნარებს, რაც ფორმალური საგანმანათლებლო სისტემისათვის მნიშვნელოვანია და მოსწრებას ეხმარება. საკომუნიკაციო უნარები, შიდა მოტივატორების აღმოჩენა და მოტივაციის გაუმჯობესება, სხარტი აზროვნება, თვითორგანიზება, გუნდური მუშაობა და ბევრი სხვა მსგავსი უნარი წარმოადგენს დამხმარე საშუალებებს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მოზარდის უკეთ ინტეგრაციისათვის. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების ამოცანაა მოსწავლისთვის ისეთი ცოდნის მიწოდება, რისი მიწოდებაც ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში ვერ ხერხდება, ან ვერ ხორციელდება იმ მოცულობით, რაც მოსწავლეს წაადგება. არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლა-გიმნაზია აქტიურად ჩაერთო მდგრადი განვითარების მიზნების ეგიდით 2021-2022 წლიდან საერთაშორისო პროექტში

- ✓ Keep Georgia Tidy – დავიცვათ საქართველოს სისუფთავე – KGT
- ✓ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზია ჩაერთო კეცხოველის სასკოლო პრემია 2024

2023–2024 სასწავლო წელს არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კლუბებიდან, მოსწავლეთა თვითმმართველობამ აარჩია შემდეგი კლუბები და წრეები:

- ✓ ინტელექტკლუბი-რა? სად? როდის?
- ✓ ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრე
- ✓ STEM წრე
- ✓ ქიმიის წრე
- ✓ ინგლისურის წრე- დაწყებით საფეხურზე

ასევე სკოლა-გიმნაზიაში 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ღონისძიებები - სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებები, საკლასო და სასკოლო კონფერენციები,კვირეულები, სპორტული ფესტივალები, სასწავლო-საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვ

X და XI კლასებში ჩატარდება შუალედური და ფინალური ტესტირებები იმ ოთხ ძირითად საგანში,რომელთაც ისინი გაძლიერებულად სწავლობენ( ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,უცხოური-ინგლისური ენა,ისტორია

XII კლასში ჩატარდება სადირექტორო დიაგნოსტიკური წერები პირველი და მეორე სემესტრების ბოლოს შემდეგ საგნებში- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,ისტორია, უცხოური ენა;